ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის
„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში
სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესი

1) „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსებას წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე. ასევე, დაფინანსება გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც კალენდარულ სემესტრში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 5 დეკემბრის ბრძანების №2013/01-01 (დანართი №1) შესაბამისად.

2) სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა (თითოეულ საგანში არანაკლებ 81 ქულისა) და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საუძველზე 100 ქულიანი სისტემით:

ა) **აკადემიური მოსწრება** - შეფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, ასევე ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, რომელიც გამრავლდება 80–ზე და გაიყოფა 100–ზე.

ბ) **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით. მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები.

2 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ სამეცნიერო გამოცემებში;

3 ქულა - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში.

გ) **სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

1 ქულა - საქართველოში შესაბამისი ფორმალური მხარდაჭერით ორგანიზებულ სტუდენტურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

2 ქულა - თსუ-ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

3 ქულა – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა და თსუ–ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში გამარჯვება.

3) სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

4) საკონკურსო კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი, თავფურცლისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი.

5) სტიპენდია არ გაიცემა დამატებითი სემესტრის სტუდენტზე.

6) თუ სტიპენდიის კანდიდატებმა დააგროვეს თანაბარი ქულები, უპირატესობა მიენიჭება მაღალი GPA –ს მქონე სტუდენტს.

7) სტიპენდიით დასაფინანსებელ სტუდენტთა სიას, ფაკულტეტის დეკანი საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

შენიშვნა 1:

საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება, წინა სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მიმდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე.

შენიშვნა 2:

საპუბლიკაციოდ შესარჩევი სამეცნიერო ჟურნალის კრიტერიუმები:

1. ჟურნალს უნდა გააჩნდეს ISSN ან ISBNკოდი;

2. ჟურნალს უნდა ჰყავდეს აკადემიური სარედაქციო კოლეგია;

3. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს ინდივიდუალურად ან არაუმეტეს ბაკალავრიატის საფეხურის მხოლოდ ერთ თანაავტორთან (სხვა საფეხურის სტუდენტებთან ან ხელმძღვანელებთან ერთად გამოქვეყნებულ სტატიებში ავტორების რაოდენობა არ არის შეზღუდული);

4. პრეტენდენტს სასტიპენდიოდ ჩაეთვლება ნომერში გამოქვეყნებული მხოლოდ ერთი სტატია.

5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი თავფურცელისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი;